21/07/2026

MES 1 26 0000958088

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯაროსკოლა:
მიხეილ ლომიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა:
ნათია კოპალიანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლა:
ნანა ოლქიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლა:
ელეონორა ფერაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯაროს სკოლა:
სოფიო დანაჩევი - სკოლის დირექტორი
სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლა:
ნატო სუბარი - სკოლის დირექტორი
სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა:
ნუგზარ ქამადაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა:
კახაბერ გვასალია - სკოლის დირექტორი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლა:
ინგა წიგნაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯაროსკოლა:
ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) თამარ ზედგინიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა
ა) გიორგი მოდებაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მირანდა იაკობიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ წიწიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე ცნობილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა ტყემალაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ მატიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ჯგერენაია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლა
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ვაჩეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლა

ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლა
ა)თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ)მარიანა ართმელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ)ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ)მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე)ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ)ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ)თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ)მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი)ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ)თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა
ა) თინათინ გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამრიკო ბასილაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ხუტილაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა
ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ფერიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ირმა შალიკიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლა
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანნა ბედენაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. საბჭოს სხდომა 2026 წლის 08 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის

საკითხის განხილვა;
7. სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა დღის წესრიგთან დაკავშირებით დააყენა შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ ობიექტური მიზეზებიდან გამოდინარე,სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის დირექტორმა ითხოვადღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხის ნაცვლად, დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო ბოლო საკითხად.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით სახით:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ-შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 23 და 24 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2300 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2300-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:30
დასრულების დრო - 14:47

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №180 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031934) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ვარკეთილი,

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			სესილია თაყაიშვილის ქ. 17 (ორი შენობა-ნაგებობა: კორპუსი №1 და კორპუსი N2)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, სესილია თაყაიშვილის ქ. 17 (ერთი შენობა-ნაგებობა: კორპუსი №1)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, სესილია თაყაიშვილის ქ. 17 (ერთი შენობა-ნაგებობა: კორპუსი №1)

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის დეკემბერში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ლიფტის ან პანდუსის მოწყობის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გიორგი მოდებაძემ, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა კახაბერ ჩაკვეტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას სახელმწიფო ენის ექსპერტის მიერ გაცემული რჩევების შესრულების საკითხთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, ნათია კოპალიანმა აღნიშნა, რომ გაცემულ რჩევებს სკოლა გაითვალისწინებდა.
საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:50
დასრულების დრო - 15:05

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას (ს/კ: 242574763) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ცაგერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ცაგერი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ცაგერი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების

პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 სექტემბერში უზრუნველყოს სკოლის ეზოში არსებული სანიაღვრე არხისა და დაზიანებული საევაკუაციო კიბის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა, სკოლის ექიმის პოზიციაზე კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება, ინკლუზიური გარემოს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის შესახებ დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმს, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1200. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი. სკოლა ვერ შეძლებდა მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობის მიღებას, სანამ არ აღადგენდა პირველ კორპუსს ან შეეძლო საქმიანობა განეხორციელებინა ორ ცვლაში. დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1070 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის და ბიბლიოთეკის საკითხთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, ნანა ოქიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა 2026 წლის ოქტომბრამდე, ალტერნატიული ფართის გამოყოფით, გამოასწორებდა აღნიშნულ ხარვეზებს.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა პირველ სტანდართან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1070-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:08
დასრულების დრო - 15:025

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლას (ს/კ: 202055676) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1070-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ალიო მირცხულავას ქ.№4 შენობა-ნაგებობა №1, №2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალიო მირცხულავას ქ.№4 შენობა-ნაგებობა №1, №2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალიო მირცხულავას ქ.№4 შენობა-ნაგებობა №1, №2

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირებისა და აღწერის, 2026 წლის ოქტომბერში ბიბლიოთეკის მოწყობის, 2027 წლის ივნისში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, 2028 წლის

ივნისში პირველი სასწავლო კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების და პანდუსის / ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 13 და 14 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესი წარიმართებოდა ორ ცვლაში.

ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:30
დასრულების დრო - 15:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის №9 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007722) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, სააკაძის ქუჩა № 29
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, სააკაძის ქუჩა № 29
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, სააკაძის ქუჩა № 29

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სართულებს შორის არსებული კიბის მოაჯირების ღიობების შევსების, 2028 წლის მაისში შენობის რეაბილიტაციის, სართულებზე გადასაადგილებელი და სკოლაში შემოსასვლელი პანდუსის, ადაპტირებული სველი წერტილის, 2027 წლის მაისში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ახალი კადრის აყვანის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 04 და 05 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები საშუალებას იძლეოდა 150 მოსწავლისთვის საქმიანობა განხორციელებულიყო ორ ცვლაში. სხვა შემთხვევაში დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს, ვერა ყურულაშვილს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდა 44 მოსწავლე.

თამარ მამსიკაშვილი ასევე დაინტერესდა სკოლაში არსებული ვაკატური ადგილების შევსების საკითხით.

სკოლის დირექტორმა, სოფიო დანაჩევმა, აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში და ვაკანსიებთან დაკავშირებით გამოხმაურება ქალაქის სკოლებისგან განსხვავებით ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, მისი განმარტებით, სკოლა გააგრძელებდა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას ვაკანტური ადგილების შევსების უზრუნველსაყოფად.

თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს. მისი კითხვა ეხებოდა სკოლის შენობის რეაბილიტაციის საკითხს. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე სკოლამ წერილობით მიმართა მუნიციპალიტეტს და ელოდებოდნენ პასუხს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 -ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:55
დასრულების დრო - 16:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლას (ს/კ: 225065201) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 -ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხანი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების, სკოლის შესაბამისი კვალიფიკაციური კადრებით დაკომპლეტების, სკოლის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების, 2027 წლის ივნისში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ვიდეო სათვალთვალო კამერების დამონტაჟების, პანდუსის მოწყობის და რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახის მოწყობის, მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხების და კომპიუტერების რაოდენობის განსაზღვრა, 2028 წლის ივნისში მიმართოს შესაბამის უწყებას სკოლის შენობის რეაბილიტაციის საკითხზე ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 13 და 14 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი. მისი თქმით, ვიზიტის დროს დასასრულებელი იყო მცირე სარემონტო სამუშაოები, რის გამოც სკოლა გადასული არ იყო რეაბილიტირებულ შენობაში, თუმცა, ვიზუალური დათვალიერებით, სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო სივრცეები.

ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, აღნიშნა, რომ სკოლა 2026 წლის სექტემბრის თვეში გეგმავდა სკოლის შენობაში გადასვლას და ამ მიზნით დაწყებული ჰქონდა აქტიური სამუშაო პროცესი.

ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლა გამოირჩეოდა გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხით. დაწესებულებაში ხორციელდებოდა მრავალი ინტელექტუალური და სპორტული ღონისძიება. ექსპერტის თქმით, სკოლა გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მიღწევებით. სკოლას ჰყავდა ქართული ხალხური სიმღერის გუნდი, რომელიც მონაწილეობდა საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში. ასევე, მისი თქმით, ინგლისური ენის მასწავლებელი სასწავლო სტაჟირებით იმყოფებოდა აშშ-ში და იქ მიღებული გამოცდილების საფუძველზე აქტიურად მუშაობდა მოსწავლეებთან. სკოლაში ფუნქციონირებდა მოლაშქრეთა კლუბი, რომელიც აწყობდა რამდენიმედღიან ლაშქრობას, ასევე, სკოლის მოსწავლეთა ჯგუფმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, კითხვა ეხებოდა ახალი სასწალო წლიდან სკოლის ახალ შენობაში გადასვლის საკითხს. სკოლის დირექტორმა, ნატო სუბარმა, აღნიშნა, რომ სკოლის ინვეტარის და შენობა ნაგებობის ჩაბარება დაგეგმილია სექტემბრამდე, შესაბამისად სკოლა ახალ სასწავლო წელს შეხვდება ახალ სკოლაში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს ხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:15
დასრულების დრო -16 :27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლას (ს/კ: 235895019) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში თანამშრომელთა სავალდებულო ცნობების, მათემატიკის, მუსიკის, სპორტისა და ტექნოლოგიების მასწავლებლების დასაქმების მიზნით ვაკანსიის გამოცხადებისა და დასაქმების, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნის, კონკურსების ეტაპების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელების, შერჩეულ კანდიდატებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების, ფიზიკასა და ბიოლოგიაში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავების, 2026 წლის დეკემბერში სამედიცინო კაბინეტის შესაბამისი ივენტარით აღჭურვის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შემუშავების, შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონტაჟის, 2027 წლის ივნისში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის, საგანმანათლებლო საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის, შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მოპოვების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სრულად აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჩანტურიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ზაზა ჩანტურიამ, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს, სკოლის მეორე შენობაში მოსწავლეთა რაოდენობის დაზუსტების მიზნით. ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მეორე შენობაში სწავლობდა 4 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეორე შენობის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, კახაბერ გვასალიამ, აღნიშნა, რომ სკოლის შენობაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფას თავადვე მოახდენენ სკოლის რესურსით.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშისსაჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:32
დასრულების დრო - 16:50

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საჯარო სკოლას (ს/კ: 239885139) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა. 2 შენობა-ნაგებობა. (სოფელი დიდი ხორში და სოფელი ხორში)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა. 1 შენობა

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში, მეთოდოლოგიის მიხედვით, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირის ან სტრუქტურული ერთეულის განსაზღვრის, დოკუმენტში - ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრული სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, კონკურსის წარმოების ვადების დაცვის, სკოლის მეორე შენობისთვის კორპუსის (სოფელი დიდი ხორში) სრულად შემოღობვის, 2027 წლის თებერვალში სკოლის მეორე შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, 2027 ივლისში ექიმის კაბინეტის მოწყობის, პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის შემუშავების, სკოლის მერე კორპუსის ადაპტირების, ,,eflow"-ში ბრძანებების სრულად ასახვის, 2027 წლის სექტემბერში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის შესახებ ინფორმაციის ასევე მათემატიკის, სპორტის, მუსიკის, ხელოვნების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის №1707385 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 300 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 221.

ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი სტანდარტის შემოწმება. ექსპერტის თქმით, აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:55
დასრულების დრო: 17:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლის (ს/კ: 230078340) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში 2026-2027 ს/წ სამოქმედო გეგმის სკოლის 2023-2030 წწ. სტრატეგიული გეგმის მიზნებთან (სამოქმედო გეგმის შემუშავება, გაზიარება და დამტკიცება) შესაბამისობის, სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადების, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისთვის კონკრეტული ნაბიჯების, რაოდენობრივი ინდიკატორებისა და საჭირო მატერიალური რესურსების დეტალური გაწერის, სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების ვებ-გვერდზე ატვირთვის მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 04 და 05 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 275. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ

მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 275 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს. მისი კითხვა ეხებოდა სკოლის ახალ შენობაში მოსწავლეთა რაოდენობას და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დადასტურა, რომ სკოლის ორივე შენობაზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა წარმოდგენილი ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 275-ით განსაზღვრის საკითხი დააყენა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:15
დასრულების დრო - 17:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლას (ს/კ: 247863913) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 275-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნენია 1-ელი ქუჩა, №2;

				შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნენია, მე 7 ქუჩა, №2.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნენია 1-ელი ქუჩა, №2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნენია 1-ელი ქუჩა, №2

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების, სკოლის შესახებ ვებ-გვერდზე დეტალური ინფორმაციის ასახვის, მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების დასაქმების, 2027 წლის ივლისში შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელ ნენიის მე 7 ქუჩა№2-ში მდებარე ხის შენობის ვიდეოკამერებით აღჭურვის, ეზოს შემოღობვის, 2028 წლის ივლისში იმავე მისამასთზე არსებულ ხის შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობის, ექთნის დასაქმების, სკოლის ძირითად შენობაში პანდუსის/ლიფტის მოწყობის, რესურსოთახის მოწყობის, სოფელ ნენიის მე 7 ქუჩა№2-ში მდებარე ხის შენობაში ადაპტირებული საპირფარეშოს, საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობის და ასევე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:40 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე